




თიბისი დაზღვევა  
TBC INSURANCE

## საინფორმაციო ფურცელი

სიცოცხლის დაზღვევა (უცხოელი სტუდენტის  
ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა  
#SHI/001/20)

## INFORMATION LETTER

Life Insurance (Health and PA insurance for foreign  
students #SHI/001/20)



## გამარჯობა

თქვენ ეცნობით სიცოცხლის დაზღვევის ძირითად პირობებს (უცხოელი სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის ფარგლებში). აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

მზღვეველი ორგანიზაცია: სს "თიბისი დაზღვევა" (ს/კ 405042804)

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N 24ბ

ცხელი ხაზი / ტელეფონი: (+995 32) 242 11 11

## დაზღვევის ხელშეკრულების სახე

წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს სიცოცხლის დაზღვევის (უცხოელი სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის ფარგლებში) პირობების შესახებ მოკლე ინფორმაციას. თქვენ მიერ შესაბამისი დაზღვევის შექმნის შემთხვევაში, გადმოგეცემათ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი "პოლისი", რომელიც დაზღვევის პირობებთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას. თქვენს მიერ დაზღვევის შექმნა გულისხმობს, რომ დაეთანხმეთ ჩვენს ვებ-გვერდზე [www.tbcinsurance.ge](http://www.tbcinsurance.ge) განთავსებულ და პოლისში მითითებულ დაზღვევის პირობებს N SHI/001/20.

## დაზღვეული რისკები

დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა და პირობებისა.

## რა ტერიტორიაზე ვრცელდება დაზღვევა?

სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე.

## როგორ აქტიურდება სადაზღვევო პოლისი?

სადაზღვევო პოლისი აქტიურდება პოლისში მითითებული პერიოდის დასაწყისი დღის 24 საათზე, თუ პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემია გადახდილია სრულად.

სადაზღვევო პოლისის მოქმედება შეწყდება პოლისში მითითებული პერიოდის დასრულების დღის 24 საათზე.

პრემიის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობის შესრულებისაგან.

## რა არ ანაზღაურდება?

დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება თუ:

- გარდაცვალება დადგა მოცდის პერიოდში;
- გარდაცვალება ან უბედური შემთხვევა დადგა საქართველოს ტერიტორიის გარეთ;

- დაზღვეული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტში იმყოფებოდა ნარკოტიკული, ტოქსიური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლის ნივთიერებების მოქმედების ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული ნივთიერება დანიშნულია ლიცენზირებული ექიმის მიერ ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობის დროს;
- გარდაცვალების მიზეზი უცნობია;
- დაზღვეულის გაუჩინარების შემთხვევაში, როდესაც ის იურიდიულად აღიარებულია, როგორც დაკარგული;
- ასანაზღაურებლად აუცილებელი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში;
- მზღვეველისთვის ყალბი და ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში;

მზღვეველი არ აანაზღაურებს იმ შემთხვევებს, როდესაც გარდაცვალება პირდაპირ ან ირიბად არის გამოწვეული:

- ნარკოტიკული, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების მოხმარებით ან/და მათი გართულებებით;
- შიდსი, აივ ინფექცია, ჰეპატიტი C და მათი გართულებები;
- თვითმკვლელობა ან განზრახ თვითდაზიანება;
- დაზღვევამდე არსებული დაავადება / პათოლოგიური სტატუსი;
- კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში მონაწილეობა, კრიმინალურ აქტში მონაწილეობა ან კანონის დარღვევა;
- ომში (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამოქალაქო ომში, ტერორიზმში, აჯანყებაში, რევოლუციის, გაფიცვაში, სახელმწიფო გადატრიალებაში და ა.შ. მონაწილეობა;
- მოსარგებლის მიერ ჩადენილი განზრახული ქმედება;
- ტერორისტული აქტი;
- დაზღვეულის ფსიქიური აშლილობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეული დაავადდა დაზღვევის პერიოდში, მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ;
- დაზღვეულის მდგომარეობა, როდესაც მას მუდმივი მოვლა ესაჭიროება (საჭიროებენ ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას), გარდა ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ დამდგარი მდგომარეობისა;
- დაზღვეულის მონაწილეობა მაღალი რისკის აქტივობებში: საბრძოლო ხელოვნება, ყვინთვა, კლდეზე ცოცვა, ნადირობა, ალპინიზმი, ჯომარდობა, პარაშუტით ხტომა, დელტა და პარაპლანით ფრენა, მოტოსპორტი, სპელეოლოგიაში და პროფესიული სპორტი, დოლი, ავიაცია და საჰაერო სპორტი; დაზღვეულის გარდაცვალება/შრომისუნარობა გამოწვეულია სანაძღეოს, აკრობატულ ოინებისა და ნებისმიერი სახის რეკორდის დამოყარების მცდელობისას;
- სატრანსპორტო საშუალების მართვა შესაბამისი ლიცენზიის გარეშე;
- დაზღვეულის ყოფნა ან მონაწილეობა: პოლიციის, სამხედრო ან ჯარის ძალების შემადგენლობაში ან სამხედრო ოპერაციებში;
- დაზღვეულის საქმიანობა სამთო, მიწისქვეშა სამუშაოებში, გვირაბში, ასაფეთქებელ და / ან საშიშ ქიმიურ მასალებსა და სამხედრო საბრძოლო მასალების ექსპლუატაციაში, ნავთობპროდუქტების წარმოებაში, მაღალი ძაბვის კაბელებში, ნავთობისა და გაზის დანადგარების გამოყენება;
- მაიონებელი გამოსხივება, რადიოაქტიური დაბინძურება ბირთვული ავარიის გამო;

- საჭაერო მგზავრობა, გარდა იმ შემთხვევისა როცა დაზღვეული არის რეგულარული/ჩართული რეისების შემსრულებელი კომპანიის თვითმფრინავის მგზავრი;
- სამედიცინო რეკომენდაციების უგულვებელყოფა და შეუსრულებლობა; ჯანმრთელობის გაუარესება გამოწვეულია არასერთიფიცირებულ ექიმთან ან არალიცენზირებულ დაწესებულებაში მკურნალობის ან თვითდაზიანების გამო.

### სადაზღვევო შემთხვევისას:

დამზღვევის წარმომადგენელი (მემკვიდრე)/მოსარგებლე ვალდებულია არაუგვიანეს ერთი თვისა, მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მზღვეველს.

მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინების დამზღვევის წარმომადგენლის (მემკვიდრის) / მოსარგებლის მხრიდან მიღების შემდეგ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს დამზღვევის წარმომადგენელთან (მემკვიდრესთან) დაკავშირება და შემდეგი საბუთების გამოთხოვა:

- დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
- სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზ(ებ)ი და დაავადების განვითარების სტადიები;
- გარდაცვალების ეპიკრიზის (ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან) ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დაზღვეულის პირადობის მოწმობის ასლი.

კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი საბუთებისგან განსხვავებული დამატებითი საბუთების წარმოდგენა კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად დადგენის მიზნით.

დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში - ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს იტყვის ანაზღაურებაზე.

### სადაზღვევო ანაზღაურება

თანხის ოდენობა, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე მოთხოვნის (წერილობითი ფორმით) წარდგენის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველის მიერ მოსარგებლეზე ყოველთვის გაიცემა (უნაღდო ანგარიშსწორების გზით) სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

### მომხმარებელთა უფლებების დაცვა

დაზღვევის პირობებით ან მომსახურების ხარისხით უკმაყოფილების შემთხვევაში, შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს, დაგვირეკოთ ცხელ ხაზზე: 242 11 11 ან ელექტრონული ფორმით ჩვენი ვებ გვერდიდან: [www.tbcinsurance.ge](http://www.tbcinsurance.ge). ასევე, შეგიძლიათ თქვენი საკითხი დააფიქსიროთ ჩვენს წარმომადგენელთან, მისამართზე:

- ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის 24ბ. I სართული;
- ქ. ქუთაისი, გრიშაშვილის ქუჩა #16;

- ქ. ფოთი, აღმაშენებლის #57;
- ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის #37;
- ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას #35;

თქვენს შეტყობინებას განიხილავს ხარისხის მართვის განყოფილება, შეტყობინების დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### მონაცემთა დაცვა

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომპანიის ცხელ ხაზზე შემომავალი ყველა ზარი იწერება. თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება დაზღვევის პირობებში მითითებული მიზნებისთვის.

### ინფორმაცია ჩვენი საზედამხებელო ორგანოს შესახებ:

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხებელოების სამსახური  
მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3

**გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!**

## HELLO

You are getting informed about the basic terms of Life Insurance (within the Health and PA Insurance for foreign students). This information letter is not comprehensive and is not the equivalent of an insurance contract. Consequently, the acquaintance with this document does not entail legal consequences between us.

INSURER: JSC "TBC Insurance" (I/C 405042804)  
ADDRESS: N 24 b Al. Kazbegi Ave., Tbilisi, Georgia  
HOTLINE/PHONE: (+995 32) 242 11 11

## TYPE OF INSURANCE CONTRACT

This document provides a summary of the terms and conditions of life insurance (within the Health and PA Insurance for foreign students). In case you purchase the appropriate insurance, you will be provided with an insurance document "Policy", which, together with the insurance terms and conditions, constitutes a single insurance contract. Purchasing your insurance means that you agree to the insurance terms and conditions N SHI/001/20 published on our website [www.tbcinsurance.ge](http://www.tbcinsurance.ge) and specified in the policy.

## INSURED RISKS

Death of insured due to any reason, including accident, except for the exclusions and conditions provided by the contract.

## WHAT IS THE TERRITORY COVERAGE FOR THIS INSURANCE?

Insurance coverage is valid on the territory of Georgia.

## HOW IS THE INSURANCE POLICY ACTIVATED?

The insurance policy is activated at 24 o'clock on the day of the beginning of the period indicated in the policy, if the insurance premium specified in the policy has been paid in full.

The insurance policy will expire at 24 o'clock on the day of the end of the period specified in the policy.

Until the premium is paid, the insurer is released from his duties.

## WHAT IS NOT REIMBURSED?

The Insurer shall not indemnify any case, if:

- Basic Death occurred during the waiting period;
- Death and/or Personal Accident occurred outside territory of Georgia;
- The insured risk occurs while the insured is under effect of any narcotic, intoxicating, psychotropic or alcohol substances, except for cases when a psychotropic or narcotic substance is prescribed by a licensed physician due to appropriate health condition;

- **cause of death is unknown;**
- **the insured disappeared and is acknowledged legally as missing person;**
- **All requested documents are not fully submitted for claim assessment;**
- **The insured or beneficiary provide any fraudulent or misleading information or document;**

The Insurer shall not indemnify cases, when Death is directly or indirectly caused by:

- **Use of narcotic, intoxicating, psychotropic or alcohol substances or/and its complications;**
- **AIDS, HIV, Hepatitis C and their complications;**
- **Suicide or intentionally self-inflicted injuries;**
- **Pre-existing disease/pathologic status;**
- **Participation in an illegal act, criminal act or committing any breach of law;**
- **Participation in war (declared or undeclared), civil war, terrorism, riot, revolution, strike, coup d'état, etc.;**
- **Intentional act of the beneficiary;**
- **Terrorist act;**
- **Insured's mental disorders, except for cases if the insured became diseased during the insurance period after the exhaustion of waiting period;**
- **Insured's condition, when he/she needs permanent care (to help in performing daily household activity), except for cases occurred after signing this contract;**
- **The insured's participation in high-risk activities: fighting, diving, rock-climbing, hunting, mountaineering, rafting, parachuting, delta- and paragliding, motor sports, caving, and professional sports, horse racing, aviation and air sports; insured's death/permanent total disability caused by bets, achieving or trying to achieve records;**
- **The insured driving a vehicle without valid driving license;**
- **Insured being a member or participant: in police, military or army forces or operations;**
- **Insured occupation in mining, underground works, tunneling, explosive and/or dangerous chemical materials and military ammunition exploitation, oil products manufacturing, high-voltage cables, oil and gas rigs exploitation;**
- **Ionizing radiation, radioactive contamination due to nuclear accident;**
- **Aviation risks, except for cases when insured is a passenger on a regular airline or recognized charter operator;**
- **Unreasonable failure to seek or follow medical advice; health deterioration due to seeking advice with unlicensed medical professional or institution or self-treatment.**

#### **IN CASE OF AN INSURED EVENT:**

The representative (heir)/beneficiary of the insured is obliged to provide the insurer with the relevant information no later than one month.

The insurer is obliged to contact the representative (heir) of the insured within a reasonable time after receiving notification of the insured event from the representative (heir) / beneficiary of the insured and request the following documents:

- Original or notarized copy of the death certificate of the insured;
- Medical certificate indicating the cause (s) of death and the stage of development of the disease;
- A copy of the death certificate (extract from the medical history) (if any);
- A copy of the identity card of the insured.

Depending on the specific case, the insurer reserves the right to require the provision of additional documents, other than the documents listed in this article, in order to accurately determine the circumstances of a specific insured event.

After receiving all the necessary documents, the insurer within 15 (fifteen) working days will pay the insurance indemnify in accordance with the terms and conditions of this insurance or refuse to indemnify.

### **INSURANCE INDEMNIFICATION**

The amount that the insurer pays to the beneficiary upon the claim (in writing) for reimbursement of the insured event upon the occurrence of the insured event. The insurance indemnity is always paid by the insurer to the beneficiary (by bank transfer) within the sum insured.

### **CONSUMER RIGHTS PROTECTION**

In case of dissatisfaction with the terms of insurance or the quality of service, you can call us at any time on the hotline: 242 11 11 or electronically from our website: [www.tbcinsurance.ge](http://www.tbcinsurance.ge). You can also introduce your issue to our representative at:

- #24b Al. Kazbegi Ave., Tbilisi, Gorgia;
- #16 Grishashvili Str., Kutaisi, Georgia;
- #57 Agmashenebeli Str., Poti, Georgia;
- #37 Zubalashvili Str., Batumi, Gorgia;
- #35 Gamsakhurdia Str., Zugdidi, Georgia;

Your notification will be reviewed by the Quality Management Unit within 10 (ten) business days after receipt of the notification.

### **DATA PROTECTION**

Please note that all incoming calls to the company's hotline are recorded in order to protect the rights of consumers and improve the quality of service. Your personal data will be processed for the purposes specified in the terms of the insurance.

### **INFORMATION ABOUT OUR SUPERVISORY AUTHORITY:**

LEPL State Insurance Supervision Service of Georgia  
Address: #3 Levan Mikeladze Str., Tbilisi, Georgia

**THANK YOU FOR CHOOSING OUR SERVICE!**